ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი
სტუდენტთა გზამკვლევი

2025-2026

ფაკულტეტის შესახებ

უმაღლესი სამედიცინო განათლების ისტორია დასაბამს 1918 წელს, თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის და მასში სამედიცინო ფაკულტეტის დაარსებიდან იღებს. 1919 წელს, სამკურნალო ფაკულტეტი დაარსდა დამოუკიდებელი ფაკულტეტის სახით, ხოლო 1929-1930 სასწავლო წლის ბოლოს მან უნივერსიტეტში არსებობა შეწყვიტა. 1994 წელს თსუ-ში უმაღლესი სამედიცინო განათლება აღდგა, ხოლო 2000 წელს მედიცინის ფაკულტეტი ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ფაკულტეტი.

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები:

მედიცინა (ქართულენოვანი)

მედიცინა (ინგლისურენოვანი)

სტომატოლოგია (ქართულენოვანი)

სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი)

ერთსაფეხურიანი პროგრამების მისანიჭებელი ხარისხი, ხანგრძლივობა და კრედიტების სისტემა

მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფაკულტეტის კურსდამთავრებულს მიენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი (გათანაბრებულია მაგისტრის ხარისხთან).

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 6 აკადემიურ წელს (12 სემესტრი) და მოიცავს 362 ECTS კრედიტს.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფაკულტეტის კურსდამთავრებულს მიენიჭება დიპლომირებული სტომატოლოგის ხარისხი.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 აკადემიურ წელს (10 სემესტრი) და მოიცავს 300 ECTS კრედიტს.

ხშირად დასმული

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

სწავლის საფასური სემესტრულად შეადგენს 1125 ლარს, უცხოენოვანი სტუდენტებისთვის 4000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

რას ნიშნავს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია?

ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს ყოველი სემესტრის დასაწყისში სწავლის საფასურის გადახდას (საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი), ასევე TBC PAY-ის საშუალებით (სწრაფი ჩარიცხვის აპარატები), ხოლო აკადემიური რეგისტრაციისას სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს.

სად ვირჩევთ სასწავლო კურსებს?

სასწავლო კურსების არჩევა ხდება თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში Uni.tsu.ge

- სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას.
- სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს მის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ – შუალედურ და დასკვნით გამოცდებში. აკადემიური რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, რის შემდეგაც დაუშვებელია მომსახურების მიუღებლობის მოტივით გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გადატანის მოთხოვნა.
- სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილ ვადებში გაუვლელად სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს უფლებას, მოითხოვოს დამატებით ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა ან მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასებების) აღიარება.

შემიძლია თუ არა ფაკულტეტზე შევიცვალო სასწავლო პროგრამა?

2022 წლიდან ფაკულტეტზე ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამულად, ამიტომ სასწავლო პროგრამის შეცვლა შეგიძლიათ მხოლოდ მობილობაში მონაწილეობით.

როგორ გავხსნათ ელექტრონული ფოსტა @tsu.ge და არის თუ არა სავალდებულო?

სტუდენტის სტატუსის მიღებისთანავე საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მხარდაჭერით სტუდენტს ეხსნება ელექტრონული ფოსტა (...@tsu.ge), რის შესახებ ეცნობება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ელექტრონულ პორტალზე (Uni.tsu.ge) და არის სავალდებულო.

რამდენი კრედიტის აღების უფლება აქვს სტუდენტს ყოველ სემესტრში?

სტუდენტის დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60-65 კრედიტს.

მედიცინის პროგრამის სტუდენტებს სწავლის (6 წლის) განმავლობაში დამატებით შეუძლიათ აიღონ სულ 15 კრედიტი.

გაითვალისწინეთ, რომ სახელმწიფო გრანტი არ მოქმედებს დამატებით სემესტრზე.

შეიძლება თუ არა ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსის ხელმეორედ არჩევა კრედიტის შეუსრულებლობის შემთხვევაში?

შესაძლებელია ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსის სამჯერ არჩევა, მაგრამ მესამედ კრედიტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეგიწყდებათ სტუდენტის სტატუსი.

როდის ითვლება სასწავლო კურსი ჩაბარებულად?

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ენიჭება სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით (მინიმალური ქულების გათვალისწინებით) უგროვდება მინიმუმ 31 ქულა.
- დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ენიჭება სტუდენტს, რომელსაც ძირითადი გამოცდის ჩათვლით დაგროვებული აქვს მინიმუმ 41 ქულა.
- დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ მიღებული ქულა შეადგენს 50%-ს ან მეტს;
- სასწავლო კურსი ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 51 ქულას.

შენიშვნა: *პიჰად ბახათში მითითებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში ეჰთი თვის ვადაში აცნობეთ ფაკულტეტის დეკანატს (ა.ბელიაშვილის ქ. 78, მე-3 სართული №328)*

ვის მივმართოთ დამატებითი კითხვებისა და ინფორმაციის შემთხვევაში:

თქვენთვის სასურველი ინფორმაციის მისაღებად სასწავლო პროგრამებისა და განრიგის შესახებ შეგიძლიათ მიმართოთ:

თამარ ლეკაშვილი – (მედიცინა III კურსი, სტომატოლოგია III კურსი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა) – tamar.lekashvili@tsu.ge, ოთახი N326;

ჯულიეტა ხუციშვილი – (მედიცინა IV, V, VI კურსი, (სტომატოლოგია IV, V კურსი) – julieta.khutsishvili@tsu.ge, ოთახი N 327;

ციალა გიორგაძე – (მედიცინა I კურსი, სტომატოლოგია I, II კურსი) – tsiala.giorgadze@tsu.ge, ოთახი N 324;

გვანცა გიგაური – (მედიცინა II კურსი), gvantsa.gigauri@tsu.ge ოთახი N 324.

ფოტოს ავტორი: მარიამ ახალაძე

მედიცინის ფაკულტეტი

ა. ბელიაშვილის ქ. 78

medicine@tsu.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ

https://tsu.ge/ka

UNIVERSITAS TPHILISENSIS
1918